



საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა  
ახოციაციის მედიცინის დეპარტამენტი



გედიკოსთა ტრადიციული 42-ე  
საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია

**ჩაქვი - 2017**

თანამედროვე კლინიკური გედიცინა-  
მიღწევები და უახლესი  
ტექნოლოგიები

**8 - 16 ივლისი**

[WWW.MEDCONGRESS.GE](http://WWW.MEDCONGRESS.GE)

## პატივცემულო კოლეგებო,

- საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი,
- საქართველოს ბიოტექნოლოგიის ცენტრი,
- საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია,
- ნაყოფის მედიცინის საქართველოს ფონდი,

სხვა სამედიცინო ასოციაციასა და დაწესებულებასთან ერთად,

## 2017 წლის 08 – 16 ივლისს (9 დღე და 8 ღამე) ატარებს მედიკოსთა ტრადიციულ

42-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენციას ”ჩაქვი-2017”, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა დარგობრივი სამედიცინო ასოციაცია, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი, ორგანიზაცია და დაწესებულება.

სკოლა-კონფერენციის პრეზიდენტი - მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

**ალექსანდრე პაპიტაშვილი**

გენერალური დირექტორი -

მედ. მეცნ. დოქტორი **გიორგი თვალთვაძე**

სკოლა-კონფერენციაზე ჩატარდება ლექცია-სემინარები პრაქტიკოსი ექიმებისა და სტუდენტებისთვის, დარგობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. ასევე დაგეგმილია ტრადიციული საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმების ორგანიზება მსოფლიოს წამყვან ექსპერტთა მონაწილეობით.

მიმართულებები და ძირითადი თემატიკა:

- ფარმაკოთერაპია
- კლინიკური ქირურგია და ტრანსპლანტოლოგია
- კლინიკური ნევროლოგია და ნეიროქირურგია
- კარდიოვასკულარული დაავადებები
- კლინიკური ალერგოლოგია
- კლინიკური ჰემატოლოგია
- რეპროდუქტოლოგია, პრენატალური მედიცინა, პერინატოლოგია და მეანობა-გინეკოლოგია
- დერმატო-ვენეროლოგია
- ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა
- პროფესიული დაავადებები
- უახლესი ტექნოლოგიები მედიცინაში
- ინფორმაციული ტექნოლოგიები მედიცინაში
- სამედიცინო ეკოლოგია
- სხვა თემები

მოთხოვნის შესაბამისად, სკოლა-კონფერენციაზე შესაძლებელია ცალკეული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება სპეციალურ შეკვეთილ თემაზე.

წარმოდგენილი მოხსენებები, ძირითადად, დაფუძნებული იქნება “მტკიცებითი მედიცინის” პრინციპებზე. ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მონაწილე მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს და მას მიენიჭება სათანადო კრედიტ-ქულები.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა შეავსოს **სარეგისტრაციო განაცხადი** ხოლო ყველა მომხსენებელმა - **მომხსენებლის სარეგისტრაციო ფორმა** და გადაუგზავნოს საორგანიზაციო კომიტეტის სამდივნოს, (საორგანიზაციო კომიტეტის სამდივნოს ხელმძღვანელი, **თეა ჯობაძე** – მობ.: **593 205 731**, თბილისი, რუსთაველის გამზ. 48, MTVi Agency) ან მიხილ ხოშტარას : **555 404 731**, ელ.ფოსტის მისამართებზე: [info@mtvi.ge](mailto:info@mtvi.ge) ან [info@caucasus.ge](mailto:info@caucasus.ge)

ელექტრონული ფორმის საშუალებით შევსებული:

1. მომხსენებლის სარეგისტრაციო ფორმა მოხსენებათა სათაურებით და თანაავტორების მითითებით;
2. მონაწილის სარეგისტრაციო განაცხადი;
3. **საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი** (დასკანირებული) **დოკუმენტი** (საწევრო-საორგანიზაციო შენატანის გადახდისთანავე),

იგზავნება საორგანიზაციო კომიტეტში არაუგვიანეს 2017 წლის **24 მაისისა**.

**რეკვიზიტები საბანკო გადარიცხვისთვის:**

ბანკი – „საქართველოს ბანკი“ – BAGAGE22,

სალარე ანგარიშის ნომერი – **GE26 BG00 0000 0344 3420 00**

მიმღები – რ/კ “საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია”,

ასოციაციის საიდენტიფიკაციო კოდი – 202215673

იურიდიული მისამართი: თბილისი, დ.უზნაძის ქ.58

სკოლა-კონფერენციის სესიები ჩატარდება კურორტ ჩაქვის სასტუმრო „**ლაზისი**“-ს ([www.hoteloasis.ge](http://www.hoteloasis.ge)) საკონფერენციო დარბაზში.

**მონაწილეთა საყურადღებო!**

1. სკოლა-კონფერენციის ხანგრძლივობა, ტრადიციულად არის **9 დღე და 8 ღამე**.
2. სასტუმროს ჯავშნის ღირებულება შეადგენს - **150.00 აშშ დოლარს** (ყოველ პიროვნებაზე, მათ შორის **6 წლიდან** ბავშვებისთვისაც).
3. ჯავშნის გადახდა უნდა განხორციელდეს **2017 წლის 24 მაისამდე**.
4. დაუჯავშნავი ნომრები (ოთახები), **2017 წლის 25 მაისიდან** უბრუნდება სასტუმროს.
5. კონფერენციაში მონაწილეობისა და სასტუმრო „ლაზისში“ განთავსების მსურველებს, რომლებმაც ვერ შესძლეს **2017 წლის 24 მაისამდე** ჯავშნის ღირებულების გადახდა, საორგანიზაციო კომიტეტი განთავსების გარანტიას ვერ აძლევს.
6. ჯავშნისთვის გადახდილი თანხა ჩაითვლება სრული პაკეტის ღირებულებაში.
7. რეგისტრაციის შემდეგ, თუ „დამკვეთი“ **5 ივნისამდე** აუქმებს „ჯავშანს“, მას სრულად უბრუნდება გადახდილი თანხა
8. **4 ივნისის შემდეგ** „ჯავშნის“ გაუქმების შემთხვევაში, გადახდილი თანხა აღარ ბრუნდება.
9. მონაწილის და/ან თანმხლები პირის მიერ კონფერენციის მუშაობაში უარის თქმის შემთხვევაში, მას შეუძლია, სკოლა-კონფერენციის დაწყებამდე, თავის მაგივრად, თავად შემოგვთავაზოს (წერილობით) შემცვლელი პირი.

ჯავშნის ღირებულების გადახდის გარეშე საორგანიზაციო კომიტეტის სარეგისტრაციო სამსახურს და სამდივნოს, ეკრძალებათ ადგილის წინასწარი დაჯავშნა.

სრული პაკეტის ღირებულება (ერთი პირისთვის 2-ადგილიან ოთახში) შეადგენს:

**480 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ბანკის (არ აგვერიოთ ეროვნულ ბანკში) აშშ დოლარის შესყიდვის კომერციული კურსის(!) შესაბამისად.

სრული პაკეტის სრულად დაფარვის ბოლო ვადაა **2017 წლის, 30 ივნისის, 14 საათი !!**

შელაფათიანი განთავსების მიზნით, საორგანიზაციო კომიტეტს, სასტუმრო „ლაზისის“ გვერდით ( 50-70 მეტრში) დაჯავშნილი აქვს სასტუმრო „**პალმა**“, სადაც სრული პაკეტის ღირებულება, 2 ან 3 ადგილიან ოთახებში, სამჯერადი კვებით, 2, 3 ან 4 მონაწილის განთავსების შემთხვევაში შეადგენს შესაბამისად 600, 735 ან 885 ლარს.

**ყურადღება!** ვისაც **30 ივნისის 14** საათამდე არ ექნება გადახდილი სრული პაკეტის ღირებულება, მას უუქმდება ჯავშანი და არ უბრუნდება გადახდილი ჯავშნის ღირებულება.

გთხოვთ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გადახდისთანავე გადმოაგზავნოთ საორგანიზაციო კომიტეტში ელ.ფოსტის მისამართებზე: [info@mtvi.ge](mailto:info@mtvi.ge) ან [info@caucasus.ge](mailto:info@caucasus.ge)

თანმხლები **6 წლამდე ბავშვები** (ვისაც 6 წელი უსრულდება 2017 წლის 16 ივლისს და შემდეგ), განთავსდებიან სასტუმრო ოაზისში უფასოდ, **საწოლის გარეშე**, სამჯერადი კვებით.

თანმხლები ბავშვები **6-დან 12 წლამდე** (ვისაც 12 წელი უსრულდება 2017 წლის 16 ივლისს და შემდეგ), განთავსდებიან სასტუმრო ოაზისში დამატებით საწოლზე, სამჯერადი კვებით, **50%-ი შეღავათით**.

**გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგ გარემოებას:** წინა წლებისგან განსხვავებით, წელს, სასტუმროს წესების შესაბამისად, **50%-ი** შეღავათი მიეცემა ბავშვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- 2 ადგილიან ნომერში განთავსდება 2 ზრდასრული ადამიანი და ერთი 6-11 წლის ბავშვი.
- 3 ადგილიან ნომერში განთავსდება 3 ზრდასრული ადამიანი და ერთი 6-11 წლის ბავშვი.

**ორადგილიან ნომერში, ერთადგილიანი განთავსების შემთხვევაში, ნომრის დღიური ღირებულება შეადგენს 105 აშშ დოლარს.** შესაბამისად, სრული პაკეტის ( 8 ღამე) ღირებულება შეადგენს **840 აშშ დოლარის** ექვივალენტს, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ბანკის (არ აგერიოთ ეროვნულ ბანკში) აშშ დოლარის შესყიდვის **კომერციული კურსის** შესაბამისად.

**სამ ადგილიან ნომერში** ორი სტუმრის განთავსების შემთხვევაში ნომრის დღიური ღირებულება შეადგენს **180 აშშ დოლარს.** შესაბამისად, სრული პაკეტის (8 ღამე) ღირებულება შეადგენს **1440 აშშ დოლარის** ექვივალენტს, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ბანკის (არ აგერიოთ ეროვნულ ბანკში) აშშ დოლარის შესყიდვის **კომერციული კურსის** შესაბამისად.

რაც შეეხება **მოხსენება-პრეზენტაციებს**, მიაქციეთ ყურადღება - შეიცვალა მათი საპროგრამო კომიტეტში **გაგზავნის ვადა.** მოხსენებების სათაური, ავტორებისა და თანაავტორების გვარების დასახელების მითითებით უნდა გამოაგზავნოთ **2017 წლის 11 ივნისამდე** ელ.ფოსტის მისამართებზე: [ampsmpge@hotmail.com](mailto:ampsmpge@hotmail.com)

გთხოვთ დაიცვათ დაწესებული ვადები და პირობები. მათი დარღვევის შემთხვევაში საორგანიზაციო კომიტეტი არ იღებს პასუხისმგებლობას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე.

ვინაიდან, როგორც წესი, გამოყოფილი ნომრები, თითქმის სრულად იჯავშნება წინასწარი რეგისტრაციის გამოცხადებიდან პირველივე დღეებში, ჩვენი რჩევაა, რეგისტრაციის დაწყებიდან **(2017 წლის 5 აპრილს)**, უახლოეს პერიოდშივე დაჯავშნოთ სასურველი ნომერი, სასურველ კორპუსში, სასურველ მხარესა და სართულზე.

გთხოვთ, რეგისტრაციის გასავლელად და სრული ინფორმაციის მისაღებად, **2017 წლის 5 აპრილიდან, ყოველდღე, 15 –დან 23 საათამდე,** მიმართოთ საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, განთავსებისა და სარეგისტრაციო-ტექნიკური სამსახურის დირექტორს **მიხეილ ხოშტარას,** მობ.: **555 404 731** ან ტელ: **299 56 65,**

სკოლა-კონფერენციის დროს ყოველდღიურად ჩატარდება **გასართობი ღონისძიებები**, მათ შორის:

- კარნავალი, ზღვის ზეიმი, მუსიკალური საღამოები, კონცერტები, დისკოთეკები;
- მოენწყობა გამოფენები და შემოქმედებითი საღამოები;
- გაიმართება ახალი მხატვრული ფილმებისა და მსოფლიო კინემატოგრაფიის საუკეთესო კინოსურათების ჩვენება.

სკოლა-კონფერენციის სამუშაო ენებია: **ქართული, ინგლისური, რუსული.**

სკოლა-კონფერენციასთან თანამშრომლობის მსურველი **კომპანიების და ფირმებისთვის** დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სპეციალურ დანართში

**საორგანიზაციო კომიტეტი**